თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2683438

ნომერი: AR1414835

თარიღი : 20.06.2016

გაცემის თარიღი : 30.06.2016

გაცნობის თარიღი : 30.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი , ჩიხი II , N 9 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 37 / ქალაქი თბილისი , ლესელიძის II ჩიხი N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა გიორგაძე პ/ნ 01015001959
- ერეკლე მეორის მოედ 1/1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1414835 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ #01.18.03.048.029 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოებაში ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2013 წლის 20 დეკემბერს #1051400 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), ლესელიძის ქ. N37–ში, შ.პ.ს. ,,RAMSIS''–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის არქიტექტურული პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. 01.05.2014წ. #1246772, 25.09.2014წ. #1507365, 25.02.2015წ. #1750796 ბრძანებებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 20 დეკემბერს #1051400 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ მოხდა დემონტაჟის ნებართვის ვადის გაგრძელება.

2015 წლის 23 თებერვალს #1747108 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, #01.18.03.048.020, 01.18.03.048.025, 01.18.03.048.002, 01.18.03.048.023 საკადასტრო ერთეულებზე დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების პირობები, სასტუმროს მშენებლობისათვის.

2015 წლის 13 მაისის #1893027 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი – კრწანისი), ლესელიძის ქ. N37–ში, შ.პ.ს. "RAMSIS"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული შენობა–ნაგებობის დემონტაჟისა და ქვაბულის კედლების გამაგრების არქიტექტურული პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. 31.08.2015წ. #2164150 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2015 წლის 14 მაისის #1893027 ბრძანებასა და დემონტაჟის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ მოხდა ნებართვის ვადის გაგრძელება. 18.03.2016წ. #2485947 ბრძანებით არსებული შენობა–ნაგებობის დემონტაჟისა და ქვაბულის კედლების გამაგრების არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2016 წლის 28 ივნისს #AR1417472 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე აბედ რამსისმა და მოითხოვა #01.18.03.048.029 საკადასტრო ერთეულისათვის არსებული საცხოვრებელი ზონის (სზ-3) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიან ზონად (სსზ-1). და კოეფიციენტის კ_1 არსებულის გაზრდა 0.7 დან 0.8 მდე სსზ-1 ის შესაბამისად, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში..
